ხშირად დასმული კითხვები

- როდის შეიძლება განცხადების წარდგენა სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსების მოსაპოვებლად?

სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოსაპოვებლად
განაცხადები მიიღება მხოლოდ ონლაინ რეჟიმში
ელექტრონულ პორტალზე:
socreg. mes. gov.ge
2024 წლის 6 სექტემბრიდან - 26 სექტემბრის ჩათვლით.

პორტალზე განაცხადს ვერ წარადგენს სტუდენტი, თუ არ მიეკუთვნება დადგენილებით განსაზღვრულ კატეგორიებს ან არ არის იმ წლის ეროვნული გამოცდებით ჩარიცხული, რომელიც მითითებული აქვს ყველა კატეგორიას

- როგორ უნდა წარადგინოს სტუდენტმა განაცხადი?
- სტუდენტმა უნდა გაიაროს რეგისტრაცია პორტალზე socreg.mes.gov.ge და შემდეგ მიიღებს მოკლე ტექსტურ შეტყობინებას, რომ გადავიდეს განცხადების შევსებაზე და გადადის განცხადების შევსებაზე.

რეგისტრაციის გავლა არ ნიშნავს განაცხადის წარდგენას, რეგისტრაციის გავლის შემდეგ, კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, აუცილებელია გადახვიდეთ განაცხადის შევსებაზე.

დეტალური ინფორმაცია მითითებულია ინსტრუქციაში, რომელიც განთავსებულია სამინისტროს ვებგვერდზე, ქვედა მარცხენა კუთხეში პირველი ბანერი - **სტუდენტთა სახელმწიფო სასწავლო/სამაგისტრო გრანტით დაფინანსება სოციალური პროგრამის ფარგლებში**

სოციალური პროგრამის ფარგლებში, რა კატეგორიის სტუდენტებს შეუძლია განაცხადის შევსება?

განაცხადს ავსებენ შემდეგი კატეგორიის სტუდენტები:

1. მაღალმთიანი (დადგენილება N 671) სოფლის სკოლის კურსდამთავრებულები, რომლებიც ბოლო სამი სასწავლო წელი სრულად სწავლობდნენ მაღალმთიანი სტატუსის მქონე სოფლის სკოლაში - მხოლოდ **2024 წლის ეროვნული გამოცდებით** ვინც მოიპოვა სწავლის გაგრძელების უფლება;

2. სტუდენტები, რომლებიც ბოლო 2 წელი სწავლობდნენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, და აღიარებულია მათი ატესტატი ან 2008 წლამდე ბოლო ერთი წელი სწავლობდნენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ასევე სტუდენტები, რომლებიც 2008 წლის 7 აგვისტომდე მუდმივად ცხოვრობდნენ ერედვის, ქურთის, თიღვის, ახალგორის ან აჟარის მუნიციპალიტეტებში - მხოლოდ **2024 ეროვნულებით** ვინც არის ჩარიცხული,

განცხადების წარდგენა, ასევე შეუძლიათ სტუდენტებს, რომლებიც ბოლო 2 წელი სწავლობდნენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე და იქვე აიღეს ატესტატი ან 2008 წლის 7 აგვისტომდე ბოლო ერთი წელი სწავლობდნენ ერედვის, ქურთის, თიღვის, ახალგორის ან აჟარის მუნიციპალიტეტებში და *უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხულია **2023 წლის ეროვნული გამოცდებით.***

2024 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებით ჩარიცხული სტუდენტები, რომლებმაც COVID-19 ვირუსით გამოწვეული პანდემიიდან გამომდინარე, 2020 წლის გაზაფხულიდან 2022 წლის გაზაფხულის ჩათვლით, ვერ შეძლეს ზოგადი განათლების ბოლო ორი სასწავლო წელი სრულად ესწავლათ ოკუპირებულ ტერიტორიაზე აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა ან ცხინვალის რეგიონში

3. აზერბაიჯანულენოვანი ან სომხურენოვანი სკოლის კურსდამთავრებულები, რომლებიც ბოლო სამი წელი სწავლობდნენ აზერბაიჯანულენოვან/სომხურენოვან სკოლებში - **მხოლოდ 2024 წლის ეროვნულებით ჩარიცხულები;**

4. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა შვილები; ან 1998 წლის მაისისა და 2004 წლის აგვისტოს მოვლენების დროს დაღუპულთა შვილები; მკვეთრად/მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერანები ან მათი შვილები - **2019, 2020,2021, 2022, 2023 და 2024 წლის ეროვნულებით ჩარიცხულები;**

5. სტუდენტები, რომელთაც მოპოვებული ჰქონდათ რეპატრიანტის სტატუსი - **მხოლოდ 2024 წლის ეროვნულებით ჩარიცხულები;**

6. ობლები (გარდაცვლილი ჰყავთ დედ-მამა ან გარდაცვლილი ჰყავთ დედა და დაბადების აქტის ჩანაწერში მამის შესახებ მონაცემების შეტანის საფუძველი იყო დედის განცხადება) – **2019, 2020, 2021, 2022, 2023 და 2024 წლის ეროვნულებით ჩარიცხულები;**

7. მრავალშვილიანი ოჯახის (ოთხი და მეტი შვილით) წევრები - **მხოლოდ 2024 წლის ეროვნულებით ჩარიცხულები;**

8. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირები – **2018, 2019, 2020, 2021, 2022, 2023 და 2024 წლის ეროვნულებით ჩარიცხულები;**

9. ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამოყოფი ხაზის მიმდებარე სოფლის სკოლის კურსდამთავრებულები, რომლებიც ბოლო სამი სასწავლო წელი სრულად სწავლობდნენ აღნიშნულ სკოლებში - **მხოლოდ 2024 წლის ეროვნულებით ჩარიცხულები;**

10. სტუდენტები, რომლებიც იმყოფებოდნენ სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ - **მხოლოდ 2024 წლის ეროვნულებით ჩარიცხულები;**

11. სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში რეგისტრირებული სტუდენტები, რომელთა ოჯახის სარეიტინგო ქულა ტოლი ან ნაკლებია 70 000-ზე –**2022, 2023 და 2024 წლის ეროვნულებით ჩარიცხულები.**

12. აუტიზმის აშლილობის სპექტრის მქონე სტუდენტები - **2023 და 2024 წლის ეროვნულებით ჩარიცხულები;**

13. სტუდენტები, რომლებიც **2019, 2020, 2021, 2022, 2023 და 2024 წლის ეროვნულებით აგრძელებენ სწავლას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და არიან:**

- საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და აღდგენის ოპერაციებში ან სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობის განხორციელებისას გარდაცვლილი ან ამ მისიებში მიღებული ჯანმრთელობის დაზიანების შედეგად გარდაცვლილი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურის შვილები;
- საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისა და აღდგენის ოპერაციებში ან სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობის განხორციელების შედეგად მკვეთრად/მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები ან მათი შვილები.

14. სტუდენტები, რომლებიც არიან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების შვილები და უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხულნი არიან **2019, 2020, 2021, 2022, 2023 და 2024 წლის ეროვნულებით;**

15. სტუდენტები, რომლებიც საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში იყვნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებული "ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობა" პროგრამის, "განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა სოციალური ინკლუზიით" ქვეპროგრამის ბენეფიციარები, როგორც ბოშა მოზარდები" - **2023 და 2024 წლის ეროვნულებით ჩარიცხულები;**

- **როგორ გავიგოთ მაღალმთიანი რეგიონის სკოლადამთავრებული რამდენი სტუდენტი მიიღებს დაფინანსებას?**

დასაფინანსებელ სტუდენტთა რაოდენობა, მაღალმთიანი რეგიონების მიხედვით დამტკიცდება მას შემდეგ რაც დასრულდება განცხადებების წარდგენის ვადა და ცნობილი იქნება თითოეული რეგიონიდან ბენეფიციართა რაოდენობა. ადგილები, შემოსული განცხადებების რაოდენობის გათვალისწინებით, პროპორციულად გადანაწილდება თითოეულ რეგიონზე, რომელიც გამოქვეყნდება სამინისტროს ვებგვერდზე, ქვედა მარცხენა კუთხეში პირველი ბანერი - **სტუდენტთა სახელმწიფო სასწავლო/სამაგისტრო გრანტით დაფინანსება სოციალური პროგრამის ფარგლებში**

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, სწავლას ვაგრძელებ ბაკალავრიატში, შემიძლია თუ არა მივიღო დაფინანსება სოციალური პროგრამის ფარგლებში?

- სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსებისთვის კონკურსში ვერ მიიღებენ მონაწილეობას სტუდენტები, რომლებმაც სწავლის უფლება მოიპოვეს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მხოლოდ აზერბაიჯანულენოვანი ზოგადი უნარების, სომხურენოვანი ზოგადი უნარების, აფხაზური ენის ან ოსური ენის ტესტების საფუძველზე.

- როდის არის განცხადების შემოტანის ბოლო ვადა?

- **განაცხადის წარდგენა შესაძლებელია 26 სექტემბრის ჩათვლით.** ამის შემდეგ ბაზა დაიხურება და სტუდენტი ვეღარ შეძლებს განცხადების ატვირთვას.
სტუდენტს 26 სექტემბრის ჩათვლით შეუძლია განცხადების შესწორება ან კატეგორიის დამატება, ღილაკზე „შესწორება“ დაჭერით.

განცხადების წარდგენის ვადის ამოწურვის შემდეგ (6- 26 სექტემებრი) შესაძლებელია თუ არა კატეგორიის ცვლილება ან დამატება?

- კატეგორიის ცვლილება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განცხადების წარდგენის ვადაში (6-26 სექტემბერი), სტუდენტმა არასწორად მონიშნა კატეგორია და ატვირთული დოკუმენტებით მიეკუთვნება სხვა კატეგორიას ან სტუდენტმა განცხადების წარდგენის ვადაში შემთხვევით გადანიშნა სწორად მონიშნული კატეგორია. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში, ხარვეზის გამოსწორების ვადაში (27 სექტემბერი - 18 ოქტომბერი) სტუდენტმა წერილობითი განცხადებით უნდა მომართოს სამინისტროს სათანადო დოკუმენტებით.

- **გარდა პორტალზე ელექტრონულად განაცხადის წარდგენისა, თუ შეუძლია სტუდენტს მატერიალურადაც შემოიტანოს სამინისტროში განცხადება?**
  - **სტუდენტმა განაცხადი უნდა წარადგინოს მხოლოდ ელექტრონულად.**

როგორ უნდა მოიქცეს სტუდენტი თუ ვერ ახერხებს განცხადების შევსებას, ვერ ტვირთვს დოკუმენტს ან ავტომატურად ვარდება სისტემიდან?

- ამ შემთხვევაში გამოდით პორტალიდან და სცადეთ თავიდან რამდენიმე წუთში. თუ მსგავსი შემთხვევა განმეორდება დაუკავშირდით სამინისტროს ცხელ ხაზს: **2 200 220**

როგორ უნდა მოიქცეს სტუდენტი თუ არ მიუღია მესიჯი მობილურზე?

- გადაამოწმეთ მითითებული მობილურის ნომერი თუ დარწმუნდით რომ სწორად გაქვთ მითითებული, მაგრამ პრობლემა არ გამოსწორებულა დაუკავშირდით სამინისტროს ცხელ ხაზს: **2 200 220**

სტუდენტმა შეავსო განაცხადი, მიიღო მესიჯი რომ „განცხადება წარდგენილია", მაგრამ უნდა გადამოწმება ნამდვილად წარდგენილია განცხადება თუ არა, როგორ მოვიქცეთ?

- სტუდენტი თავის პერსონალურ გვერდზე შესვლისას, დაინახავს მწვანე წარწერას, რომ განცხადება გაგზავნილია.

როგორ იქცევა სტუდენტი, თუ არ არის დარწმუნებული, რომ სწორად ატვირთა დოკუმენტები და რა ვადაში შეუძლია ხარვეზის გამოსწორება?

ხარვეზის გამოსწორების ბოლო ვადაა 2024 წლის 18 ოქტომბრის ჩათვლით.

- საჭირო დოკუმენტების არასწორად ატვირთვის შესახებ, სტუდენტი მიიღებს მობილურ ტელეფონზე მოკლე ტექსტურ შეტყობინებას, რომ განცხადება დახარვეზებულია და დეტალური ინფორმაცია იხილოს თავის პერსონალურ გვერდზე. პერსონალურ გვერდზე დეტალურად იქნება მითითებული ხარვეზის გამოსწორების ბოლო ვადა (2024 წლის 18 ოქტომბრის ჩათვლით) და ასევე, რა დოკუმენტი უნდა შეცვალოს ან ატვირთოს თავიდან.

როგორ გაიგებს სტუდენტი დაფინანსდა თუ არა?

რეგისტრაციისას მითითებულ ტელეფონის ნომერზე, სტუდენტი მიიღებს შემდეგი შინაარსის მესიჯს:

-Tqven moipoveT saxelmwifo saswavlo granti socialuri programis farglebSi;

-ver moipoveT saxelmwifo saswavlo granti socialuri programis farglebSi dabali sagranto qulis gamo.

როგორ უნდა მოიქცეს სტუდენტი თუ აღარ სარგებლობს რეგისტრაციისას მითითებული ტელეფონის ნომრით?

რეგისტრაციის დროს მითითებული საკონტაქტო ტელეფონის ნომრის შეცვლის შემთხვევაში, განმცხადებელი ვალდებულია ინფორმაცია დაუყოვნებლივ აცნობოს სამინისტროს წერილობით ან დაუკავშირდეს სამინისტროს ცხელ ხაზს 2 200 220.

მაღალმთიანი სტატუსის სოფლების და ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების სკოლადამთავრებულებისთვის სავალდებულოა, რომ ბოლო სამი წელი ესწავლათ მითითებულ სოფელში. რა იგულისხმება ბოლო სამ წელში, სასწავლო წელი თუ კალენდარული წელი?

- ბოლო სამი სასწავლო წელი აუცილებლად სრულად უნდა სწავლობდეს მაღალმთიანი სტატუსის სოფლების და ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების სკოლებში.

  ბოლო სამ წელში იგულსხმება სასწავლო წელი მე-10, მე-11 და მე-12 კლასი (მე-10 კლასში სწავლის დაწყებიდან (სექტემბრიდან) მე-12 კლასის დასრულებამდე (ივნისის ჩათვლით).

რა ვადაში უნდა იყოს სტუდენტი სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში რეგისტრირებული?

- სტუდენტი, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში უნდა ფიქსირდებოდეს 2024 წლის 26 სექტემბრის ჩათვლით, ოჯახს სარეიტინგო ქულით 70000 ან ნაკლები.

კონკურსის შემთხვევაში რომელი ქულით ხდება სოციალური გრანტის მიღება?

- სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტი გაიცემა ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების აბსოლუტური ქულით რანჟირებული სიის საფუძველზე (3 გამოცდაში მიღებული ქულების ჯამი, საგრანტო ქულით და არა საკონკურსო ქულით).

კონკურსის შემთხვევაში რა პრინციპით ხდება სტუდენტთა დაფინანსება?

- კონკურსის შემთხვევაში, სტუდენტები დაფინანსებას მოიპოვებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული საგრანტო ქულების მიხედვით, უმაღლესიდან უმდაბლესისკენ. დავუშვათ, ერთ-ერთ კატეგორიაში განცხადება შემოიტანა 500-მა სტუდენტმა და დადგენილებით განსაზღვრულია 100 სტუდენტის დაფინანსება, 500 სტუდენტიდან დაფინანსებას მოიპოვებს მხოლოდ ის 100 სტუდენტი, რომლებსაც უფრო მაღალი საგრანტო ქულა ექნებათ.

მნიშვნელობა აქვს თუ არა რომელ პროგრამაზეა ჩარიცხული სტუდენტი და რომელ უნივერსიტეტში?

- დაფინანსების მოპოვება შეუძლია საქართველოს მოქალაქეს, რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე-ჩაირიცხა ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო-დაწესებულებაში,- **აკრედიტებულ** -საგანმანათლებლო პროგრამაზე.

კონკურსში მონაწილეობისთვის რამდენი გამოცდა უნდა ჰქონდეს ჩაბარებული სტუდენტს?

- აუცილებელია სტუდენტს ჩაბარებული ჰქონდეს 2 სავალდებულო და ერთ-ერთი არჩევითი საგანი.

სახელოვნებო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტებს მესამე საგნად თუ ეთვლებათ შემოქმედებითი ტურები?

- კონკურსში მონაწილეობისთვის, სახელოვნებო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტებს, გარდა შემოქმედებითი ტურებისა, სავალდებულოა ჩაბარებული ჰქონდეთ 2 სავალდებულო და ერთ-ერთი არჩევითი საგანი.

როდის გამოქვეყნდება დაფინანსებულ სტუდენტთა სია?

- სტუდენტთა დაფინანსების შესახებ ინფორმაცია ცნობილი იქნება. სავარაუდოდ, ნოემბრის თვეში.

-სოციალური პროგრამის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების შესახებ (დაფინანსდა/არ დაფინანსდა) როგორ გაიგებს სტუდენტი?

- სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსების ან არ დაფინანსების შესახებ სტუდენტი ინფორმაციას მიიღებს რეგისტრაციისას მითითებული ტელეფონის ნომერზე.

რამდენი წლით ფინანსდებიან სტუდენტები?

- სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსება გულისხმობს სახელმწიფო სასწავლო გრანტით სტუდენტის დაფინანსებას ბაკალავრიატში 4 წლით, დიპლომირებული

მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე 6 წლით, სტომატოლოგის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ და ვეტერინარის ინტეგრირებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე 5 წლით.

სოციალური პროგრამის ფარგლებში რა თანხა ერიცხება სტუდენტს?

- სახელმწიფო სასწავლო გრანტის მაქსიმალური ოდენობაა 2250 ლარი სასწავლო წლის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტის სწავლის საფასური აღემატება 2250 ლარს, სტუდენტი განსხვავებას ფარავს თავად. თუ სწავლის საფასური ნაკლებია 2250 ლარზე, სოციალური პროგრამის ფარგლებში მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტი უტოლდება სტუდენტის სწავლის საფასურს.

იმ სტუდენტებს, ვისაც მოპოვებული აქვთ ნაწილობრივი გრანტი, შეუძლიათ თუ არა კონკურსში მონაწილეობის მიღება?

- სტუდენტებს, რომლებსაც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მოპოვებული აქვთ გრანტის ნაწილობრივი ოდენობა, შეუძლიათ კონკურსში მონაწილეობა, სახელმწიფო სასწავლო გრანტის სრულ ოდენობამდე (2250 ლარამდე) შევსების მიზნით.

სტუდენტებმა, რომლებმაც გასულ წლებში ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მოიპოვეს სახელმწიფო სასწავლო გრანტი და სრულად გამოიყენეს, თუ შეუძლიათ განმეორებით, სოციალური პროგრამის ფარგლებში გრანტის მოპოვება?

- სწავლების თითოეულ საფეხურზე სტუდენტზე გაიცემა მხოლოდ ერთი სახელმწიფო სასწავლო გრანტი. თუ სტუდენტს უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე უკვე ჰქონდა მოპოვებული და გამოყენებული სახელმწიფო სასწავლო გრანტი, სოციალური პროგრამის ფარგლებში გრანტს ვერ მოიპოვებს.